

გურული სიმღერა „აგუნა“

საქართველო ვაზის უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანაა... აქ ვაზის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ბევრი რიტუალია შემორჩენილი, რომელთა შორის უმრავლესობა უძველესი წარმოშობისაა. აგუნას კულტიც ასეთი რიტუალური ქმედების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

აგუნა მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაებაა. ის ძველ ბერძნულ-რომაულ ღვთაება დიონისე-ბახუსს მოგვაგონებს, ზოგჯერ კი მის ორეულად არის მიჩნეული (გელოვანი, 1983: 27).

ღვთაება აგუნას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, სადაც სხვა სახელითაც მოიხსენიებდნენ: აგუნა – გურიაში, ანგურა – რაჭა-ლეჩხუმში, ჯგერაგუნა, ჯუჯელია – სამეგრელოში. „აგუნას სახელზე ვაზის რქის ან მტევნის ფორმის პურებს აცხობდნენ, ლოცულობდნენ და ღვთაებას ვაზის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. კლარჯეთში რთვლის დროს ვენახში ლხინს მართავდნენ: აკიდობით შემკული შიშველი ყმანვილები ფერხულს ცეკვავდნენ“ (ჩიტაია, 1975:76).

აგუნას პატივსაცემი რიტუალი საახალწლო და საშემოდგომო დღესასწაულებზე სრულდებოდა. საახალწლო რიტუალს „აგუნას გადაძახებას“ ეძახდნენ და ტრადიციული ტექსტით ასრულებდნენ:

„აგუნა, აგუნა გადმეიარეო,
ბახვი და ასკანა გადმეიარეო,
ჩვენს მამულში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო“ (იქვე)

ტექსტი შეიძლება ოდნავ განსხვავებულიც ყოფილიყო, I სტროფი კი ყოველთვის მიმართვას შეიცავდა ღვთაება აგუნასადმი. ეს რიტუალური ჰიმნი სამხმიან სიმღერას წარმოადგენდა და მარანში, საწნახელზე კაკუნის აყოლებით სრულდებოდა.

„აგუნას გადაძახების“ შესახებ ვკითხულობთ: „გურიაში დღემდე დარჩენილია სიმღერა, ანუ უკეთ, ლოცვა, რომლითაც მიმართავდნენ აგუნას ანუ კერპთაყვანისმცემლობის დროის ღმერთმფარველს მიწის ნაყოფისა და ჭირნახულისა“ (სახოკია, 1985:115). როგორც ვხედავთ, ავტორი ხაზს უსვამს ამ სიმღერის სანესო დანიშნულებას. „აგუნას გადაძახება“ საახალწლო (საკალანდო) რიტუალის შემადგენელი ნაწილი, უფრო ზუსტად კი დამაგვირგინებელი აკორდი იყო, რადგან შეღამებულზე სრულდებოდა და საკალანდო ბოლო ქმედებას წარმოადგენდა. ამ სიმღერის ვრცელი მეცნიერული ანალიზი მოცემულია მ. ჟორდანიას შრომაში „გურული მუსიკალური დიალექტი“ (ჟორდანიას, 1976:5).

მეორე, საშემოდგომო რიტუალი რთველი იყო. რთველი მთელი რიგი წესების დაცვით მიმდინარეობდა, როგორც იყო ცეცხლის დანთება, კრეფის დაწყებამდე ღვთაებისადმი განკუთვნილი პირველად აჭრილი ყურძნის ჩხააკიდოს სალოცავში მიტანა, მსუქანი ბავშვის გადაგორება ვენახში მომავალი წლის ნაყოფიერი მოსავლის უზრუნველსაყოფად, სარიტუალო თხის დაკვლა

და ა.შ., საიდანაც ჩანს, რომ რთველი რიტუალური ქმედებების რთულ კომპლექსს წარმოადგენდა. ლექსი და სიმღერებიც სცოდნიათ, მაგრამ აგუნას კულტთან დაკავშირებულ სიმღერას ქართული ფოლკლორიტიკა აქამდე არ იცნობდა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სიმღერა ჩანერილია გურიაში ფოლკლორისტ ნ. ყორდანიას მიერ 2000 წელს. შემსრულებლები არიან სოფ. ლიხაურის მცხოვრებლები. სიმღერას ჰქვია „აგუნა“, ის სამხმიანია და ყურძნის წურვის დროს უნდა შესრულებულიყო (იხ. სანოტო დანართი).

შემსრულებულის განმარტებით „აგუნას“ მღეროდნენ, „როცა ყურძენი ჩამოტანილი იყო და იწნიხებოდა. ბავშვი რომ ვიყავი, მამაჩემი შემისვამდა ზურგზე და გადი-გამოდიოდა ყურძენზე, ხვავი რომ ყოფილიყო – მამაჩემი ასე იტყოდა“. ამ ცნობაში რამდენიმე მომენტი საყურადღებო:

1. სიმღერა სრულდებოდა უშუალოდ წურვის დროს. ყურძნის წურვა თავისთავად მძიმე შრომაა, მით უმეტეს ზურგზე მოკიდებული ბავშვით, რომელიც მოძრაობაშიც ზღუდავდა და სხეულსაც ძაბავდა. ასეთ მდგომარეობაში სიმღერა თითქმის შეუძლებელია და ვფიქრობთ, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო.

2. სიმღერის მეტრი ცვალებადია, რიტმი – შრომის რიტმთან შეუთანხმებელი და შრომის პროცესის მაორგანიზებელ ფუნქციას ვერ ატარებს. აქედან გამომდინარე, სიმღერა შრომაში დამხმარედ ვერ გამოდგებოდა.

3. ანგარიშგასანევი ერთი გარემოება: მაშინაც კი, როცა მწურავი მარტო იყო, ხმის გამცემი და შემბანებელი არ ჰყავდა, ის მაინც მღეროდა – აგუნას ესაუბრებოდა.

4. ზურგზე ბავშვის შესმა აგუნასადმი მიძღვნილ საახალწლო რიტუალშიც ხდებოდა: „გადამძახნელი ზურგზე მოიკუტურებს პატარა ვაჟს, ჩამოეკიდება ხელით ვაზს (ამით მან ისურვა ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნები მოესხა, როგორც მას ჰკიდია ზურგზე) და გადამძახილებს გადამღერებს:

„ჩემს მამულში გოდორ – გოდორიო,

მტრის მამულში კიმპალ – კიმპალიო.

— ბანებიც უდასტურებენ“ (წულაძე, 1971:14).

ამრიგად, ყურძნის წურვის დროს ბავშვის ზურგზე შესმა რიტუალური ქმედებაა, უფრო ზუსტად, მიმბაძველობითი მაგიის მაგალითია. ყველა ამ მომენტის გათვალისწინებას მივყავართ ერთ დასკვნამდე: მიუხედავად იმისა, რომ „აგუნა“ უშუალოდ შრომის პროცესში სრულდება, ის შრომის სიმღერას არ წარმოადგენს. ის თხოვნა იყო ღვთაებისადმი, რათა შრომას (ღვინის წურვას) ხვავი და ბარაქა მოჰყოლოდა.

მაშასადამე, „აგუნა“ სანესო შრომის სიმღერაა.

საინტერესოა, უშუალოდ წურვის რა მომენტთან არის დაკავშირებული „აგუნას“ შესრულება?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში ნებისმიერ სამეურნეო საქმიანობას წინ უძღოდა ერთგვარი რიტუალი – აუცილებელი მიმართვა ამ საქმიანობის მფარველი ღვთაება-ღმერთებისადმი ან სულებისადმი.

საფიქრალია, რომ „აგუნაც“ ყურძნის წურვის დაწყებისთანავე ანუ შრომის პროცესის დასაწყისშივე უნდა შესრულებულიყო. ამაზე რამდენიმე გარემოება მიგვანიშნებს:

1. შემსრულებელი იხსენებს, რომ სიმღერას მღეროდნენ, „როცა ყურძენ-

ნი ჩამოტანილი იყო და იწინებოდა“. გურიაში მალლარი ვენახებია, საიდანაც ყურძენი გიდელებით ჩამოაქვთ. „ჩამოტანილიც“ სწორედ ამას გულისხმობს. ჩანს, ჩამოტანის შემდეგ, წნეხვის დასაწყისშივე უნდა შეესრულებინათ „აგუნა“. თანაც სიმღერა შრომაში მუხტის მიმცემად ვერ გამოდგება, ხოლო მეტრულად ისეთი „არაორგანიზებული“, რომ მუშაობის დასაწყისს თუ შეეფერება – სანამ რიტმული მუხტის ცემა და მოტორული, მოწესრიგებული ყურძენის წურვა დაიწყება.

2. და კიდევ ერთი: „ძველად, ღვინობისთვის, როცა ღვინოს სწურავდნენ, პირველად უნდა აევისოთ პატარა ქოცოები სხვადასხვა წმინდანებისა და სალოცავების (მიქელ-გაბრიელი, წმ. გიორგი, სადაბადო) სახელობაზე. ამ წმინდანებისა და სალოცავების დღეობაზე თავს მოხდიდნენ ქოცოს, ღვინის ნაწილს ეკლესიაში წაიღებდნენ ზიარებისათვის – საზედაშედ, დანარჩენს თითონ სვამდნენ ოჯახში“ (სახოკია, 1979:208). ამ ცნობიდან ჩანს, რომ წურვის პროცესის დასაწყისი რიტუალური იყო – თავიდან ღვინო წმინდანების და სალოცავების სახელზე იწურებოდა. ამ პროცესს თან რომ რიტუალური სიმღერაც არ ხლებოდა, საკვირველიც კი იქნებოდა.

მაშასადამე, „აგუნა“ ნამდვილად ყურძენის წურვის დასაწყისში უნდა შეესრულებინათ.

ორიოდე სიტყვა ტექსტის შესახებ: ყურძენის წურვის „აგუნას“ ტექსტი საახალწლო „აგუნას გადაძახების“ ტექსტის ზუსტი განმეორებაა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ორივე სიმღერა ღვინის ღვთაებისადმი მიძღვნილი ერთიანი, განუყოფელი რიტუალის შემადგენელი ნაწილია; რიტუალისა, რომელიც ქართველისათვის კალანდა დილით იწყებოდა და მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა, რადგან ქართველისათვის ყოველი დღე ვაზთან, ვაზის მოვლა-პატრონობასთან იყო დაკავშირებული. თვით საქართველოს დაყოფა მთად და ბარად ხომ სწორედ ვენახის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული: „სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იქიდან მთად იყო მიჩნეული (ჯავახიშვილი, 1935:290). თვით სიტყვაში „ქართველი“ ჩართულია სიტყვა „რთველი“, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

დამონმებული ლიტერატურა

- გელოვანი, აკაკი. (1983). *მითოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ჟორდანი, მინდია. (1976). *გურული მუსიკალური დიალექტი – შრომის სიმღერები*. ხელნაწერი ინახება ავტორის პირად არქივში.
- სახოკია, თედო. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი: მერანი.
- სახოკია, თედო. (1985). *მოგზაურობანი*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
- ჩიტაია, გიორგი. (1975). აგუნა. აბაშიძე, ირაკლი. (მთ. რედ.). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. I. (გვ. 76). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- წულაძე, აპოლონ. (1971). *ეთნოგრაფიული გურია*. თბილისი: მერანი.
- ჯავახიშვილი, ივანე. (1935). *საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია*. წიგნი II. თბილისი: მეცნიერება.

